შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.800)
7 -14 ოქტომბერი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

ზემო მაჩხაანს 250 მოსწავლეზე გათვლილი ახალი სკოლა 2019 წელს ექნება

გვ.5

გვ.2

„ეტალონის“ დედოფლისწყაროს ჩემპიონი გამოვლინდა

პარტიების საარჩევნო სიები ცნობილია

გვ.6

ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები საქართველოშია

გვ.3

გვ.4

ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახებიდან იწყება...

გვ.3

2006 წლამდე აღებული მართვის მოწმობა 2018 წლის პირველი იანვრიდან იურიდიულ ძალას დაკარგავს

ახალგაზრდა მხატვრის გამოფენა

გვ.5

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 21 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

ირაკლი კობახიძე - ვენეციის კომისიის დასკვნით აღიარებულია პროგრესი, რომელსაც პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების სახით მიაღწია

ვენეციის კომისიის დასკვნით აღიარებულია პროგრესი, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების სახით მიაღწია, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის შეფასებისას განაცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, საბოლოო დასკვნა თითქმის სრულად შეესაბამება იმ დოკუმენტს, რომელიც პარლამენტმა წინასწარი შეფასების სახით, საბოლოო დოკუმენტის დამტკიცებამდე მიიღო.

„ვენეციის კომისიამ საბოლოოდ დაამტკიცა თავისი საბოლოო დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. დასკვნა არის პოზიტიური. ჩვენ წინასწარ გვქონდა საუბარი იმ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც გამოიგზავნა ვენეციის კომისიის მხრიდან ერთი კვირით ადრე და დაახლოებით, შეესაბამება ეს დასკვნა იმ წინასწარ დოკუმენტს, რომელიც იქნა გამოგზავნილი. დოკუმენტი არის აბსოლუტურად პოზიტიური და აღიარებულია ის ძალიან დიდი პროგრესი, რომელსაც მიაღწია საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების მხრივ. გარდა ამისა, დღეს არაერთი განცხადება გაკეთდა ვენეციის კომისიის პრეზიდენტის მხრიდან, ასევე, იმ ექსპერტების მხრიდან, რომლებიც წერდნენ დასკვნას საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით და მათ უაღრესად დადებითად შეაფასეს საკონსტიტუციო ცვლილებები, მათ აღნიშნეს, რომ ეს ცვლილებები უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული განვითარების პროცესის შეუქცევად გაგრძელებას“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საერთაშორისო ექსპერტი ჯეფრი ჯოუელი მიიჩნევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი საუკეთესოა

საერთაშორისო ექსპერტი ჯეფრი ჯოუელი მიიჩნევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი საუკეთესოა.

როგორც ექსპერტმა ცვლილებების შეფასებისას განაცხადა, მასზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ სამუშაომ, რაც განხორციელებული იყო ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით.

”ჩემი აზრით, ეს ძალიან შთამბეჭდავი პროექტია, რათა კონსტიტუცია გახდეს ერთ-ერთ საუკეთესო თანამედროვე კონსტიტუცია მსოფლიოში, რა თქმა უნდა, საქართველოს კულტურის საფუძველზე. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ სამუშაომ, რაც განხორციელებული იყო ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით. თქვენ გაქვთ საყოველთაო ჯანდაცვის და ეკოლოგიური სისუფთავის დაცვის უფლება და ეს მნიშვნელოვანი უფლებებია. ეს ძალიან შთამბეჭდავია”, - განაცხადა ექსპერტმა.

2006 წლამდე აღებული მართვის მოწმობა 2018 წლის პირველი იანვრიდან იურიდიულ ძალას დაკარგავს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2006 წლის პირველ აპრილამდე აღებული მართვის მოწმობები 2018 წლის პირველი იანვრიდან იურიდიულ ძალას დაკარგავს.

სააგენტოში პირველ არხს განუცხადეს, რომ ვადის გასვლის შემდეგ ახალი მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდის ჩაბარება საჭირო არ არის. საჭიროა მხოლოდ ჯანმრთელობის ცნობის და 15 ლარიანი ქვითრის მომსახურების სააგენტოს ფილიალებში წარდგენა.

რაც შეეხება 2006 წლის პირველი აპრილიდან 2014 წლის პირველ მარტამდე აღებულ მართვის მოწმობებს, მათ იურიდიულ ძალა 2028 წლის პირველ სექტემბრამდე აქვთ.მომსახურების სააგენტოს ცნობით, 2014 წლის შემდეგ გამოსულ მართვის მოწმობებზე კი მოქმედების ვადა დოკუმენტზევეა დატანილი.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თუშეთში ვერტმფრენი მიმდინარე წლის ზამთრის სეზონზე რეგულარულად იფრენს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია უამინდობის გამო თუშეთში შექმნილ ვითარებას ეხმაურება. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, რეგიონში მობილიზებულია ყველა შესაბამისი უწყება და სამსახური.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გზის გაწმენდით სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში განაგრძობს, ადგილზე იმყოფებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი წარმომადგენლები.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, ომალოში მყოფი ტურისტები უსაფრთხოდ იმყოფებიან და ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადაადგილდებიან.

”ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ერთი მამაკაცი, რომლის სიცოცხლეს, ადგილობრივი ექიმის ინფორმაციით, საფრთხე არ ემუქრება, მაშველების დახმარებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას კლინიკაში გადაჰყავს. თუშეთში საგანგებო რეჟიმში მუშაობს ყველა შესაბამისი სამსახური, რათა ნებისმიერი სახის შესაძლო შეფერხება თავიდან იყოს აცილებული.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, ასევე - უცხოელი ვიზიტორების მზარდი რიცხვის ფონზე, თუშეთში კომფორტული და უსაფრთხო მოგზაურობის მიზნით, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, გასული წლის სეზონის მსგავსად, წლევანდელი ზამთრის მანძილზე, ყოველკვირეულად, რეგულარულად იფრენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი”, - ნათქვამია ინფორმაციაში.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საარჩევნო სიებში ქალთა კვოტირების განსაზღვრის საკითხს მხარი დაუჭირა

საარჩევნო სიებში ქალთა კვოტირების განსაზღვრის საკითხს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 10 ხმით მხარი დაუჭირა.

სხდომაზე, „ქალთა, პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის“ მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა პირველი მოსმენით განიხილეს, რომელსაც მხარს 30 ათასი ამომრჩეველი უჭერს.

ცვლილებებით, როგორც პარლამენტის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, სქესთა ბალანსი ისე უნდა დაიცვან, რომ პარტიის პროპორციულ სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად სიას უკან დაუბრუნებს, ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი, პარტია რეგისტრაციას ვერ გაივლის.

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიაში მიიღებს მონაწილეობას

მიმდინარე წლის 6-9 ოქტომბერს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის რიგით 63-ე წლიური სესია გაიმართება.

როგორც პარლამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, აღნიშნულ ღონისძიებაზე, რიგ საკითხებთან ერთად, როგორიცაა ალიანსის წინაშე არსებული გამოწვევები და რუსეთთან ურთიერთობა, ასევე განიხილება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების თემები.

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ დელეგაციას ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში ირაკლი სესიაშვილი ხელმძღვანელობს, ასევე დელეგაციაში შედიან ირაკლი ბერაია და სერგი კაპანაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, მიმდინარე წლის მაისში უმასპინძლა ასამბლეის საგაზაფხულო სესიას, რაც, თავის მხრივ, ისტორიული მოვლენა იყო არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ასამბლეისთვისაც, რადგანაც საქართველო გახდა ალიანსის რიგით მე-5 არაწევრი ქვეყანა, რომელმაც ასამბლეის სესიას უმასპინძლა.

1-ლი იანვრიდან ძველ 50 თეთრიან მონეტას ხმარებიდან ამოიღებენ

2018 წლის 1-ლი იანვრიდან 1995 წლის ემისიის 50 თეთრიან მონატას, ე.წ. ოქროსფერ მონეტას, ხმარებიდან ამოიღებენ. ეროვნული ბანკის ცნობით, სავაჭრო და ნაღდი ფულით მომსახურების ობიექტებს ანგარიშსწორების მიზნით მათი მიღების ვალდებულება აღარ ექნებათ.

„საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის N5 დადგენილებით, 2018 წლის 1-ელი იანვრიდან, გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი აღარ ექნება 1995 წლის ემისიის 50 თეთრის ნომინალის მონეტას, ე.წ. ოქროსფერ 50-თეთრიან მონეტას, რომლის ავერსზე დატანილია - გრიფონის რელიეფური გამოსახულება, მის ქვეშ ციფრი „50“ და წარწერა — „თეთრი“, რევერსზე - ბორჯღალი, ციფრები წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკა“, REPUBLIC OF GEORGIA“, - აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

მათივე ცნობით, 2018 წლიდან, ერთი წლის განმავლობაში, ძველი 50 თეთრიანის ნომინალური ღირებულებით გამოცვლა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ კომერციულ ბანკსა და ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში, ხოლო 2019 წლის 1-ლი იანვრიდან - მხოლოდ ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2006 წლიდან მიმოქცევაში გაუშვა 50 თეთრის ნომინალის ახალი, ვერცხლისფერი მონეტა, რომელიც მიმოქცევაში უკვე დამკვიდრებულია.

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 4 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციას აცხადებს. წელს პირველად, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია დამატებით სამ მუნიციპალიტეტში - ყაზბეგში, თიანეთსა და ლაგოდეხში.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ისწავლონ ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებებით.

წელს პირველად, სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების მიდგომით განხორციელდება ოთხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (მეფუტკრე, მზარეული, სარესტორნო საქმე და სასტუმრო მომსახურება). დუალურ პროგრამებს პარტნიორ დამსაქმებლებთან ერთად თბილისის, ქობულეთისა და ბათუმის კოლეჯები განახორციელებენ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის გავლა პირადობის მოწმობით შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. ასევე, აპლიკანტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული (ონლაინ) რეგისტრაციის რეჟიმიც ვებ-გვერდზე: www.vet.emis.ge.

რეგისტრაცია შესაძლებელია ერთი მიმართულების ქვეშ არსებულ რამდენიმე პროგრამაზე.

რეგისტრირებულ აპლიკანტს, რეგისტრაციიდან რამდენიმე დღეში, გადაეცემა საგამოცდო ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ტესტირების ადგილისა და თარიღის შესახებ. ტესტირების შედეგების შემდეგ, აპლიკანტებს ექნებათ საშუალება გადახედონ რეგისტრაციისას მათ მიერ გაკეთებულ არჩევანს და ერთი მიმართულების ქვეშ, შეცვალონ სასურველი პროგრამების სია მიღებული ქულებისა და წინა წლების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

ინფორმაცია პროფესიული ტესტირების შესახებ და ასევე ტესტების ნიმუშები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (www.naec.ge).

2017 წლის საშემოდგომო მიღებაზეც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებდნენ პროფესიული განათლების მიღებას, შესაძლებლობა ექნებათ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე გაიარონ ტესტირება. მათთვის ქართული ენის სათანადო დონეზე სწავლებისთვის, პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირდა ქართული ენის მოდული.

ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები საქართველოშია

მთელი ქვეყანა სიამაყით აივსო იმ მნიშვნელოვანი მოვლენით, რაც ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების მოძიებას, პოვნას და საქართველოში ჩამობრძანებას მოჰყვა. ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის საკათედრო ტაძრიდან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში 1 ოქტომბერს გადმოაბრძანეს. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია წმინდა დედოფალს ქალაქ დედოფლისწყაროს შემოსასვლელში შეეგება: მეუფე, მღვდელმსახურები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მრევლი ერთად მონაწილეობდა მსვლელობაში და დედოფლის წმინდა ნაწილები საკათედრო ტაძარში დააბრძანეს. სიწმინდე დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხუთი დღის განმავლობაში იყო დასვენებული და მორწმუნეებს მისი მოლოცვის საშუალება ჰქონდათ. ამ ხნის მანძილზე არ წყდებოდა მომლოცველთა რიგი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრმა ჩაატარა სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციები: 30 სექტემბერს – მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხოლო 2 ოქტომბერს – ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

ეს ისტორიული ფაქტი მშვენივრად გაშუქდა შემეცნებითი კონფერენციით ბიბლიოთეკაში. კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნონა ჯიბღაშვილმა საზოგადოებას ღონისძიების მნიშვნელობაზე ესაუბრა. საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა მიმოიხილა ისტორიული ფაქტები, რომლებიც იმდროინდელ საქართველოში ხდებოდა, რაც გახდა იმისი წინაპირობა, რომ ამ მშვენიერ დედოფალს ქრისტესთვის და სამშობლოსთვის ასეთი ტანჯვა დაეთმინა. ვრცლად წარმოადგინა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილების გაბნევა მაშინდელ სამყაროში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა დალი ბაღაშვილმა. საინტერესო მოსასმენი იყო ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლოთეკარის თინათინ ელაშვილის თემა - ქეთევან დედოფალი მხატვრულ პროზაში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აქტიური მკითხველები: თამარ ჯეთერიშვილი, მარინა კვანჭილაშვილი, ანა ჩიტიშვილი, ანა ფიროსმანაშვილი, ლიკა ტოკლიკიშვილი, რომლებმაც წაიკითხეს ანა კალანდაძის და ციური ხეთერელის ლექსები. ღონისძიებას ესწრებოდნენ დედაოები ეპარქიიდან.

კონფერენციაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდნენ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მეუფე დიმიტრი და ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი ვახტანგ ცინცაძე.

ბიბლიოთეკის ყოველი ღონისძიება მოსახლეობაში წიგნისა და წიგნიერების დასანერგადაა მიმართული. ერთი ლამაზი საღამო კვლავ გვაჩუქეს ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა.

ცნობისათვის: წმინდა დედოფალმა ბოლო ლოცვა ჩვენი ეპარქიის ტერიტორიაზე, შავი მთის დედათა მონასტერში აღავლინა. მონასტრის დედაოებთან ერთად ის მთელი ღამე ავედრებდა თავის სამშობლოს უფალს, გამთენიისას კი დაადგა სპარსეთისკენ მიმავალ გზას.

რა ბედი ეწია ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს

წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, ქრისტიანული სარწმუნოების არდატევებისთვის, ირანის შაჰის აბას I-ის ბრძანებით, 1624 წლის 12 სექტემბერს ქალაქ შარაზში საჯაროდ, საშინელი წამებით მოკლეს. ქართველთა დედოფალი ძალიან შეეცოდათ შარაზის მცხოვრებთ, მაგრამ შაჰის შიშით ვერავინ ბედავდა მის ნეშტთან მიახლოებას. წამებას ესწრებოდა პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი, მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, რომელიც 1618 წლიდან იმყოფებოდა ირანში და ქეთევანსაც იცნობდა.

სწორედ ამბროზიო დუშ ანჟუშმა აღმოაჩინა ქეთევან დედოფლის საფლავი დასჯიდან რამდენიმე თვეში. მისი თქმით, „როგორც კი ქეთევან დედოფალს სული ამოხდა, მისი ნეშტი ტომარაში ჩააგდეს და ორ კაცს დაავალეს, დაეფლათ მინდორში, სადაც უკვე ამოთხრილი ჰქონდათ ორმო. ცხედარი ორმოში ჩააგდეს და ისე დააყარეს მიწა, რომ ქრისტიანებს ვერც კვალი შეემჩინათ და არც რაიმე მოსაგონარი დარჩენოდათ... დედოფლის ნეშტი დამარხული იყო სამი თვისა და ცამეტი დღის განმავლობაში... თან პორტუგალიელი ტყვე და ჩემი მსახური წავიყვანე. მათთან ერთად მივედი მინდორზე, სადაც ორმოში დაფლეს დედოფალი და თხრა დავიწყეთ. რადგან ორმო მეტად ღრმა იყო, იმ ღამეს ცხედრამდე ვერ მივაღწიეთ. 1625 წლის 4 იანვარი გახლდათ“.

მეორე ღამით, ავგუსტინელმა მისიონერებმა და მისმა მხლებლებმა ორმოს თხრა განაგრძეს და წამებული დედოფლის ნეშტს მიაკვლიეს. „თავლცრემლიანებმა ამოვასვენეთ დიდებული ქეთევან წამებულის ცხედარი და ჩვენს მონასტერში წავასვენეთ საიდუმლოდ“. ამის შემდეგ, ამბროზიო დუშ ანჟუშმა დედოფლის ცხედარი, უკეთ დაცვის მიზნით, ისპაჰანის ავგუსტინელთა მონასტერში გადაასვენა.

მცირე ხანში, 1626 წლის მარტში, შაჰის ბრძანებით, ისპაჰანის მონასტრის ავგუსტინელი ბერები დააპატიმრეს და შირაზში გადაიყვანეს. მონასტრის წინამძღვარმა მანოელ და მადრე დე დეუსმა გადაწყვიტა, თან ერთადერთი განძი, წმინდა დედოფლის სხეული წაეღო. ბერები ათი თვის განმავლობაში შირაზის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. 1627 წლის თებერვალში მათ ისპაჰანის მონასტერში დაბრუნების უფლება მისცეს. დაუყოვნებლივ წამოვიდნენ და თან წამოიღეს წამებულის ცხედარიც.

ავგუსტინელმა ბერებმა წამებული დედოფლის ნეშტის წმინდა ნაწილები საგანგებოდ გამზადებულ ლუსკუმაში ჩაასვენეს. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები „ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მოიდგის კარებსა“ (თეიმურაზ I).

უაღრესად საინტერესოა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების შემდგომი ბედი. 1626 წელს, როცა თეიმურაზ I იძულებით „შეურიგდა“ შაჰს, მან პირველ რიგში წამებული დედის ნეშტის სამშობლოში გადასვენება ითხოვა. აბას I-მა ნება დართო თეიმურაზს, ქეთევანის ცხედარი საქართველოში წაესვენებინა, მაგრამ სეფიანთა კარზე არ იცოდნენ, სად ინახებოდა დედოფლის ნეშტი. შაჰი ქართლ-კახეთის მეფეს ატყობინებდა, რომ ცხედარი კათოლიკე მისიონერებმა მოიპარეს, მაგრამ არ ვიცით, ავგუსტინელებმა მოიმოქმედეს ეს თუ ფეხშიშველა კარმელიტებმაო.

როდესაც ავგუსტინელმა მისიონერებმა თეიმურაზ I-ის სათხოვრის შესახებ შეატყეს, გოას ავგუსტინელების მონასტერში (გოა - ქალაქი-ნავსადგური ინდოეთში; 1510 წელს დაიპყრეს პორტუგალიელებმა; აღმოსავლეთში ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. - გ.ს.) მყოფი აღმოსავლეთში ავგუსტინელ ბერთა მეთაურის ბრძანებით, 1627 წლის 3



აგვისტოს საქართველოში თეიმურაზ I-თან გამოემგზავრნენ ამბროზიო დუშ ანჟუში და სებასტიანო დე იეზუსი. „თან წავიღეთ წმინდანის თავი, რათა მისი საშუალებით დაგვეყოლიებინა დედოფლის ძე, თეიმურაზი, ნება დაერთო მისიონი დაგვეარსებინა მის ქვეყანაში. - მაგრამ გზაში ორივე ავად გახდა და ისპაჰანში დაბრუნდნენ.

1628 წლის 13 თებერვალს ამბროზიო დუშ ანჟუში კიდევ ერთხელ გამოემგზავრა საქართველოსკენ. იმავე წლის 11 მაისს ავგუსტინელი მისიონერები გორში მეფეს წარუდგნენ. თეიმურაზ I-მა მათ ჰკითხა, რა იცოდნენ დედოფლის ცხედრის შესახებ. როდესაც ამბროზიო დუშ ანჟუშმა თეიმურაზს შეატყობინა, რომ დედოფლის წმინდა ნაწილები - თავის ქალის ნაწილი, აგრეთვე „წამებულის ფეხი, რომელსაც ისევ ეტყობოდა მარწუხის კვალი“ ჩამოიტანა, მეფემ დიდად დაუმადლა, - მთელი მსოფლოს განძიც რომ ჩამოგეტანათ, ჩემთვის დედაჩემის ცხედრის ჩამოსვენებას ვერ შეედრებოდაო. მეორე დღეს, თეიმურაზ I-ის ბრძანებით, დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის საკურთხეველში დაასვენეს.

კათოლიკე მისიონერები თავდაპირველად თეიმურაზ I-ის სასახლეში ცხოვრობდნენ. შემდგომ მეფემ მათ შესთავაზა, აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი. პატრებმა გორი აირჩიეს. ასე შეიქმნა ავგუსტინელთა მისიონი აღმოსავლეთ საქართველოში ამბროზიო დუშ ანჟუშის მეთაურობით, რომელმაც 1640 წლამდე იარსება.

საყურადღებოა თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპის - ურბან VIII-სადმი 1629 წლის 6 იანვარს გაგზავნილი წერილი, რომელშიც მეფე მიუთითებდა: „აგერ, უკვე ერთი წელია, რაც ჩვენი დედის სხეულის ნაწილები, გამშრალი ძვლები, პართიის სამეფოს კარიდან, ისფაჰანიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოგვიტანა ავგუსტინელმა, ღირსეულმა მამა ამბროზიომ, რომელსაც ამ სამსახურისთვის ჯილდოდ გადავეცით ადგილი და მიწა საარსებოდ, საცხოვრებელი სახლისა და ეკლესიის ასაგებად“.

XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს თეიმურაზ I-მა ირანში ზავის დასადებად მიავლინა მთავარეპისკოპოსი იოანე, რომელმაც წარმატებით შეასრულა დავალება. გარდა ამისა, მან ისპაჰანის ავგუსტინელთა მონასტრიდან წამოიღო ქეთევან დედოფლის სხვა წმინდა ნაწილებიც, რომლებიც ასევე ალავერდში დაასვენეს: „მოითხოვეს ნეშტი იგი ნაწილნი წმინდაი, და პატივითა დიდითა მიიღეს ადგილსა მას, სადა ისხნეს სხუანი იგი ნაწილნი“ (გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელი). ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძარში, საღმრთო ტრაპეზის ქვეშ, 1723 წლამდე ინახებოდა. როგორც რუსეთის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, თეიმურაზ I-ს ალავერდში არსებული ნეშტის ნაწილიდან, მცირედი რელიკვია რუსეთის მეფისთვის ალექსეი I-ისთვის გაუგზავნია 1656 წლის 18 აპრილს და მიუწერია კიდეც. ჩვენთვის უცნობია რუსეთში გაგზავნილი ამ წმინდა ნაწილების შემდგომი ბედი.

ალავერდში დარჩენილი წმინდა ნაწილები კი 1723 წელს დაიკარგა, როდესაც კახეთის სამეფოს ოსმალები და ლეკები დაესხნენ თავს. მეფე კონსტანტინე II მაჰმად ყული ხანმა თავი ქიზიყს შეაფარა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, მისი ძმა „თეიმურაზ და უმეტესნი კახნი დედაწულით და ეპისკოპოსებით მივიდნენ ანანურს (არამედ რომელსა ეტვირთა ნაწილი წმინდათა, უბრკმა ცხენსა მისსა არაგუსა შინა და წარიღო ნაწილნი იგი და დაიკარგა ქეტევან დედოფლის ნაწილითურთ)“.

საქართველოსა და რუსეთის გარდა, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ევროპასა და აზიაშიც წაასვენეს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისინი მოხვდა გოასა და რომში, სავარაუდოდ - ნამიურსა (ბელგია) და საფრანგეთში.

როგორც აღვნიშნეთ 1627 წლისთვის წმინდა მოწამის ნეშტი მთლიანად ინახებოდა ისპაჰანის ავგუსტინელ ბერთა მონასტერში, საიდანაც მისი ნაწილი კათოლიკე მისიონერებმა 1628 წელს თეიმურაზ I-ს გაუგზავნეს. ამავე დროს, გოაში გაემგზავრა ისპაჰანის მონასტრის წინამძღვარი მანოელ და მადრე დე დეუსი, რომელმაც თან „წმინდა დედოფლის მარჯვენა ხელი ხორციოთურთ და მკლავის ძვალი გოას მონასტრის ბერებისა და მთხოვნელთა სანუგეშოდ წაიღო“ (რობერტო გულბენკიანი). მალე გოას მონასტერში ისპაჰანიდან გაიგზავნა კიდევ ერთი სიწმინდე - დედოფლის ქვედა ყბა კბილების გარეშე.

გოაში ჩატანილი წმინდა ნაწილები დაცული იყო შავი ქვის კუბოში, საკურთხევლის მარჯვენა მხარეს.

XX საუკუნის დასაწყისში გრასას მონასტრის კოშკი ჩამოიქცა და მთელი შენობა ნანგრევებად აქცია.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს ინდოეთში სხვადასხვა დროს ეძებდნენ სამეცნიერო ექსპედიციები რევაზ თაბუკაშვილისა და ვაჟა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, თუმცა მათ წმინდა ნაწილების მოძიება ვერ მოახერხეს. საბოლოოდ, დიდი აღმოჩენა მაინც მოხდა - 2006 წლის ზაფხულში ინდოელმა არქეოლოგმა ნეზამუდინ ტაჰირმა გოას აგრასას მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიაკვლია ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს, რითაც ქართველთა არაერთი თაობის სანუკვარი ოცნება ასრულდა. ეს ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას მიაწოდა პროფესორმა. გიორგი კალანდიამ. ამჟამად, ინდოელი არქეოლოგების მიერ მიკვლეულ წმ. ნაწილებს უკვე ჩაუტარდა დნმ-ის ანალიზი.

როგორც აღვნიშნეთ, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ევროპაშიც აღმოჩნდა: XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, ავგუსტინელ მისიონერებს წმინდანის ნეშტის რომელიმე ნაწილის გაგზავნა, როგორც რელიკვიისა, სთხოვა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა, პიეტრო დელა ვალემ. ბერებმა მას თხოვნა შეუსრულეს: გოას მონასტრიდან წამოღებული, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული სიწმინდე, დედოფლის ქვედა ყბა კბილების გარეშე თეატინელმა ბერმა დონ პიეტრო ავიტაბილემ და მამა ანტონიო დე სანტო ვისენტემ 1631 წლის 5 ივნისს, რომში, პიეტრო დელა ვალეს გადასცეს, რაც ამ უკანასკნელმა საგანგებო ხელწერილით დაადასტურა.

(გაგრძელება გვ.7)

ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახებიდან იწყება...

მასწავლებლობა-მომხიბვლელი სოციალური სტატუსი, ერთ-ერთი საპატიო, საპასუხისმგებლო და ღირსეული პროფესიაა, თუმცა ერთ-ერთი არასათანადოდ დაფასებულიც. ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახებიდან იწყება და სახელმწიფოს წარმატება თუ წარუმატებლობა განათლების ხარისხზეა დამოკიდებული. ჩვენ, თითოეული მოქალაქე კი ვალდებული ვართ ,ხელი შევუწყოთ და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ პედაგოგებს, რათა ჩვენმა მომავალმა თაობებმა შეძლონ ხარისხიანი განათლების მიღება ჩვენი ქვეყნის მშენებლობისა და განვითარებისათვის..

„პედაგოგები სკოლაში კონკურსით ხვდებიან და კონკურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გამოცდილებაა, მაგრამ თუ დამწყები პედაგოგი სკოლაში ვერ მოხვდება, გამოცდილებასაც ვერ მიიღებს, ამიტომ მუდმივად ჩაკეტილ წრეზე მოგვიწევს ტრიალი. გადავწყვიტეთ, დამწყებ პედაგოგებს,რომლებსაც მაღალი შედეგები ექნებათ უმაღლეს სასწავლებელში, მივცეთ საათები, რათა სკოლებში დაიწყონ მუშაობა.“-ეს განათლების მინისტრის სიტყვებია.

დღეს ჩვენი რესპოდენტია წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახ.სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის დამწყები პედაგოგი - მარი ჩალახეშვილი. იგი სწორედ ამ მაღალი შედეგების საფუძველზე გახდა პედაგოგი. სულ რამოდენიმეკვირიანი გამოცდილების მერე, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, გთავაზობთ მარისთან ინტერვიუს.

მინი დოსიე: დავიბადე ქ. დედოფლისწყაროში 1993 წლის 14 ოქტომბერს, დავამთავრე ქ.დედოფლისწყაროს N1-ლი საჯარო სკოლა და სწავლა განვაგრძე ქ.თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ილიაუნი) ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ასევე გავიარე მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა და ვარ უფროსი მასწავლებელი. უნივერსიტეტი დავამთავრე 2017 წელს და დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა ქ.დედოფლისწყაროს ა(ა)იპ წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

- როდის მიიღე გადაწყვეტილება, რომ პედაგოგი გამხდარიყავი?

- ყოველთვის მომწონდა მასწავლებლობა და გადაწყვეტილიც ბავშვობიდან მქონდა.

- რას ნიშნავს შენთვის სიტყვები-სკოლა და ბავშვები?

- სკოლა და ბავშვები ჩემთვის იგივეა, რაც ოჯახი, მეგობრები. ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ისინი ჩემთვის მხოლოდ მოსწავლეები არ არიან, არიან ჩემი პატარა მეგობრები და ვინაიდან, ჯერ არ მყავს ოჯახი, მთელ დროს ბავშვებს და სამსახურს ვუთმობ.

- რას გვეტყვი მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთკავშირზე, მათ ტანდემზე?

- იმისათვის,რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის იყოს საუკეთესო ტანდემი, აუცილებელია, მეგობრული და გულწრფელი დამოკიდებულება მათ შორის.



- შენი აზრით, რას ელი მომავალში შენი მუშაობის შედეგად?

- ჩემი მომავალი წარმატება საუკეთესო მოსწავლეებშია! რაც მეტი წარჩინებული ბავშვი მეყოლება, ჩავთვლი, რომ შედეგი მიღწეულია, რადგან ისინი მომავალში საზოგადოების ღირსეული წევრები გახდებიან.



- რა გაძლევს იმ მუხტს და ენერგიას, რომ ყოველ დილით ახალი შემართებით შედიხარ გაკვეთილზე?

- სტიმულს და ენერგიას მაძლევს სკოლაში შექმნილი არაჩვეულებრივი პირობები, სასიამოვნო გარემო და, რა თქმა უნდა, ბავშვების გაბრწყინებული თვალები, ის სიყვარული, რასაც ვგრძნობ მათგან. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი პროფესიული დღე, ბავშვების მიერ მოძღვნილი მოსალოცი ბარათები, გულწრფელი და ლამაზი სიტყვები.

- მარი, რა მოგწონს და რას შეცვლიდი დღევანდელ განათლების სფეროში?

- როგორც პედაგოგს, მომწონს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, მასში შემავალი თითოეული ნიუანსით. ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, არის ქართული ენის უფრო ძირეულად შესწავლა ბავშვებისათვის, რაშიც, ალბათ, ყველა ფილოლოგი დამეთანხმება. მართალია, ახლა ინტეგრირებული სწავლება გვაქვს და ვასწავლით ქართულ ენასაც და ლიტერატურასაც,მაგრამ, ვფიქრობ,რომ მხოლოდ ინტეგრირებული სწავლება არ არის საკმარისი მოსწავლეებისთვის და აუცილებელია, გრამატიკის სიღრმისეულად შესწავლა.

- და ბოლოს, რა გამოცდილება და წარმოდგენები შეგიქმნა ამ რამოდენიმე კვირის მუშაობამ,თავიდან რომ იღებდე გადაწყვეტილებას, აირჩევდი თუ არა კვლავ პედაგოგობას?

- თავიდან რომ ვიღებდე გადაწყვეტილებას პროფესიის არჩევის შესახებ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისევ პედაგოგობას ავირჩევდი. დღითიდღე ვხვდები და ვაცნობიერებ იმას,რაოდენ საპასუხისმგებლო და სასიამოვნოა მასწავლებლობა. მომწონს, მიყვარს ჩემი საქმე და ვფიქრობ, ქალისთვის საუკეთესო პროფესიაა. ვისარგებლებ შემთხვევით და მასწავლებლის პროფესიულ დღეს მივულოცავ ჩემს პედკოლექტივს, ყოფილ პედაგოგებს და მუნიციპალიტეტის ყველა მასწავლებელს. ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი სკოლის დირექტორს, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს, მეუფე დიმიტრის და აღმასრულებელ დირექტორს თეა სხირტლაძეს იმ განსაკუთრებული და კეთილსაიმედო გარემოსთვის, რაც ჩვენს სკოლაშია, იმ ურთიერთობებისთვის, რაც მათ გააჩნიათ მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და წარმატებებს ვუსურვებ მათ მომავალ საქმიანობაში.

რედაქცია უერთდება მილოცვას და ჩვენი რაიონის ყველა პედაგოგს ვულოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, ვუსურვებთ მხნეობას, პროფესიულ წინსვლას და მატერიალურ კეთილდღეობას.

ელზა ხარაშვილი

„ეტალონის“ დედოფლისწყაროს ჩემპიონი გამოვლინდა

2017-2018 სასწავლო წლის ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ მუნიციპალიტეტებში ტალანტების გამოვლენას აგრძელებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჩემპიონის დასადგენად მეოთხედფინალური ტური ქ. დედოფლისწყაროში 6 ოქტომბერს ჩატარდა. ცოდნის შეჯიბრში ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტეკლასელები მონაწილეობდნენ.

ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატს „ეტალონის“ უცვლელი წამყვანი, აკადემიური დოქტორი გოჩა ტყეშელაშვილი უძღვებოდა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ დავითაშვილი ესწრებოდნენ. მათ „ეტალონის“, როგორც საერთო ეროვნული პროექტის, დამსახურებაზე ისაუბრეს და მონაწილეებს მეოთხედფინალში გამარჯვება უსურვეს.

შერკინება დაძაბული აღმოჩნდა და თანაბარი ქულები ბევრმა მონაწილემ დააგროვა. საბოლოოდ, 65 მონაწილიდან 3 საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლე შეირჩა. მათგან პროექტის წამყვანმა გამარჯვებული გამოავლინა.

დედოფლისწყაროს ჩემპიონი ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი ელენე ჩოხელი გახდა. მეორე და მესამე ადგილებზე არხილოსკალოსა და დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეები-გიორგი უგუნურაშვილი და გიორგი ბენაშვილი გავიდნენ.

ელენე ჩოხელი ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში დედოფლისწყაროს სახელით წარდგება და ქვეყნის პირველობისთვის იბრძოლებს. ფინალი 2018 წლის ზაფხულის დასაწყისში ბათუმში გაიმართება.

ზემო მაჩხაანს 250 მოსწავლეზე გათვლილი ახალი სკოლა 2019 წელს ექნება

გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანს ახალი საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტების შენობა 2019 წელს ექნება და მის მშენებლობაზე 3 500 000 ლარი დაიხარჯება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ განათლების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, ამ ეტაპზე უცნობია, კონკრეტულად როდის დაიწყება სკოლის აგება, ან რომელი კომპანია დაიწყებს სამუშაოებს, თუმცა მშენებლობის დასრულების თარიღად 2019 წლის ბოლოა განსაზღვრული.

მშენებლობას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო კურირებს. როგორც სააგენტოში განმარტავენ, ორსართულიანი შენობა თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვება და იმავე ადგილას აშენდება, სადაც ძველი შენობა იყო, რომლის დემონტაჟი უკვე მოხდა. თავდაპირველად მსჯელობდნენ იმაზე, არსებული შენობის აღდგენა მომხდარიყო, თუ მისი დემონტაჟის შედეგად ახალი შენობა აეგოთ. იმის გათვალისწინებით, რომ შენობა ძალიან ძველი იყო, გადაწყდა სოფელში ახალი სკოლის შენობა დაეპროექტებინათ.

ახლადაგებული შენობა 250 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აღნიშნავენ, შენობა ასევე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რაც პანდუსებით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას გულისხმობს.

„ტენდერი არ გამოცხადებულა, რადგან ამ ეტაპისთვის ახალი შენობის პროექტირების სამუშაოები დასრულებული არ არის. უკვე არსებობს შენობის მაკეტი და გაწერილია დეტალები, მაგრამ მისი დახვეწა მიმდინარეობს. პროექტირება, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. მას შემდეგ, რაც პროექტირება დასრულდება, შემდეგ გამოცხადდება ტენდერი ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოებისთვის მწარმოებელი კომპანიის გამოსავლენად. უკვე 2018 წლიდან მშენებლობა დაიწყება და გეგმის მიხედვით, 2019 წლის ბოლოსთვის ახალადაშენებული დასრულებული შენობა უნდა ჩაგვბარდეს.“ – აღნიშნავენ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში.

სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დირექტორი მაია ხუნაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ წლების განმავლობაში შენობის დაპროექტებაში სკოლის პედაგოგები და სოფლის მოსახლეობაც აქტიურად იყო ჩართული და მათი შენიშვნებიც გაითვალისწინეს.

მაია ხუნაშვილი (მაჩხაანის სკოლის დირექტორი): „შარშან, როდესაც ახალი სასწავლო წელი დავიწყეთ, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან არქიტექტორები ჩამოვიდნენ, პროექტი და ფოტოსურათები ჩამოიტანეს და საჯაროდ, მშობლებს და პედაგოგებს გაგვაცნეს. შემდეგ ორჯერ ჩვენც ჩავედით და სააგენტოში აქტიური თანამშრომლობა გვქონდა. შემდეგ დაათვალიერეს ეზო, ყველაფერი გააანალიზეს, სად იქნებოდა ეზო, სად წყალი, სად განთავსდება კანალიზაცია. მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად კეთილგანწყობილები იყვნენ და ყურადღებით მოგვისმინეს. ჩვენი შენიშვნებიც გაითვალისწინეს და პროექტი ჩაასწორეს. ვთხოვეთ, რომ შენობა ოდნავ უკან გაეწიათ და აჯობებდა ,ასე დაეწყოთ მშენებლობა. არგუმენტები მოისმინეს და გაითვალისწინეს. თავდაპირველად იგეგმებოდა ამჟამად არსებული მეორე, დაწყებითების შენობის დანგრევაც, სადაც ახლა მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და აპირებდნენ მას შემდეგ დაეწყოთ ახალი სკოლის მშენებლობა, მაგრამ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და აღარ მოგვიწევს დროებითი შენობის კიდევ ერთხელ ძებნა.

– ქალბატონო მაია, ახალი პროექტით გათვალისწინებული ფართი რამდენად საკმარისი იქნება თქვენი სკოლისთვის?

– თავდაპირველ მაკეტში T-ს ფორმის ნახაზი იყო, ანუ მთავარი შენობა და უკან მოდგმული მეორე შენობა. ბოლო ვარიანტში კი ჩანს, რომ გასწორებულია და შენობების განლაგება შეიცვალა. მასში სასწავლო პროცესი შესაძლებელი რომ გახდება, შემდეგ მოედგმება უკან მეორე კორპუსი. ისინი ერთმანეთს კიბის მეშვეობით დაუკავშირდება.

– ანუ ორი კორპუსი სრულად დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს?

– ამჟამად სკოლაში 207 მოსწავლე ირიცხება. როგორც ამბობენ, სკოლა 200-ზე მეტ მოსწავლეზე იქნება გათვლილი. თუმცა, მინდა დავაფიქსირო, რომ ზემო მაჩხაანი მზარდი სოფელია, ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა რიცხვი და ამჟამადაც ფართის პრობლემა გვიდგას. მაგალითად, გასულ წელს პირველ კლასში 15 მოსწავლე შემოვიდა, უკვე წელს 18 მოსწავლე გვყავს, ეს მაჩვენებელი კი არათუ სოფლის, რაიონული სკოლებისთვისაც საოცნებოა. იმის გათვალისწინებით, რომ მზარდი სოფელია, ვნახოთ, რა სურათი გვექნება მომავალ წლებში.

– რაც შეეხება გათბობის საკითხს, რაკი თანამედროვე სტანდარტებით მოწყობაზეა საუბარი, გათბობის რა მეთოდს გამოიყენებს მაჩხაანის სკოლა?

– გათბობის ორი გზა განიხილება, სამინისტროსთან ერთად ვმსჯელობთ, რომელი იქნება ეფექტური. მაგალითად, შემოთავაზებული გვაქვს როგორც ბუნებრივი აირით გათბობა, ასევე ქვანახშირის გამოყენება. როგორც ამბობენ, გაცილებით იაფი ჯდება ნახშირით გათბობა, თუკი წინასწარ მოხდება რამდენიმე ტონა ქვანახშირის შემოტანა. ჯერ დაზუსტებით ცნობილი არ არის, რა გზას ავირჩევთ, საკითხი განხილვის სტადიაზეა.

– ზემო მაჩხაანს ხშირად აქვს წყალმომარაგების პრობლემა, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში რთული ვითარება იქმნება, რამდენად აისახება ეს სკოლის გამართულ მუშაობაზე?

– გეთანხმებით, წყალი ხშირად პრობლემაა. როგორც ამიხსნეს, სველი წერტილების თანამედროვე სტანდარტებით გამართვის შემთხვევაში დღეში 10 ტონა წყალი იქნება საჭირო საიმისოდ, რომ სკოლაში გამართულად ფუნქციონირებდეს ეს სისტემა. ამდენად, დგება საკითხი, რომ სოფლის არსებული დებეტი ჩვენს სკოლას არ ეყოფა. ვნახოთ, ეს საკითხიც განსახილველია.

– რა ვითარებაშია ამჟამად სკოლის ეზო და როდის ელით სამშენებლო სამუშაოების დაწყებას?

– კონკრეტული დეტალები არ ვიცით. რამდენიმე დღის წინ სპეციალური ბანერი ჩამოიტანეს, თავადვე დაამონტაჟეს, იქ ახალი სკოლის შენობაა გამოსახული და მითითებულია, რომ 2019 წელს უნდა დასრულდეს, სხვა განმარტებები ჩვენთვის ამ დღეებში არავის მოუცია. დამწვარი შენობის დემონტაჟი უკვე სრულად დასრულებულია, ნარჩენები გატანილია და ყველაფერი მზადაა სამუშაოების დასაწყებად. დაპროექტებას წელს დაასრულებენ და 2018 წლიდან ველოდებით მშენებლობის დაწყებას. სავარაუდოდ, როგორც კი დათბება, შეუდგებიან მშენებლობას“.

შეგახსენებთ, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში ხანძარი 2015 წლის 3 ოქტომბერს გვიან ღამით გაჩნდა. კვამლი ადგილობრივებმა გამთენიისას შენიშნეს და სახანძრო სამსახური გამოიძახეს, თუმცა ძველ შენობაში ცეცხლი სწრაფად გავრცელდა და მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. ადგილზე იმყოფებოდა სკოლის დარაჯიც, რომელმაც ხანძრის შესახებ ვერაფერი გაიგო. მომხდარზე გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალგაზრდა მხატვრის გამოფენა ხორნაბუჯში

2010 წლის ივლისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) - გაეროს სააგენტო დაარსა, რომლის დანიშნულება გენდერული თანასწორობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა იყო. ამ გადაწყვეტილებით გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა, გენდერული თანასწორობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, ორგანიზაციის მიზნების მიღწევის დასაჩქარებლად ისტორიული ნაბიჯი გადადგეს.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაარსება გაეროს რეფორმების პროგრამის ნაწილი იყო, რითიც რესურსები და მანდატები უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად გაერთიანდა. ორგანიზაცია გაეროს სისტემის ოთხი დამოუკიდებელი სააგენტოს შერწყმის შედეგად შეიქმნა. მათი საქმიანობა ფოკუსირებული იყო გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდაზე. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მათ მნიშვნელოვან შედეგებს ემყარება.

